საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„თანამედროვე მედიცინა“

„თანამედროვე მედიცინა”, ქართული სამედიცინო სამეცნიერო ჟურნალი, რ-საც 1924იდან გამოსცემდა თსუ-ის სამედ. ფაკტის უმც. მასწავლებელთა კოლეგიუმი (სარედაქციო კოლეგია: შ. მიქელაძე, პ. ქავთარაძე, მ. მგალობლიშვილი, ზ. მაისურაძე, ნ. ყიფშიძე). ჟურნალში ქვეყნდებოდა სტატიები თეორ. და პრაქტ. მედ. საკითხებზე; მიმოხილვები, კორესპონდენციები, რეფერატები, ბიბლიოგრაფიები; სამედ.სამეცნ. საზოგადოებათა სამეცნ. კონფერენციებისა და ექსპედიციების საქმიანობის ანგარიშები და ქრონიკები. ჟურნალთან თანამშრომლობდნენ თბილ. სახელმწ. უნტ-ის სამედიცინო ფაკტ-ის პროფესორები, ასისტენტები, ორდინატორები, თბილისსა და პერიფერიებში მომუშავე პრაქტიკოსი ექიმები. 1929-იდან ჟურნალს გამოსცემდა უნტ-ის სამედ. ფაკტი, ხოლო 1931 ჟურნალი სამედ. ინტ-ის ორგანო გახდა. სხვადასხვა დროს რედკოლეგიაში შედიოდნენ პროფესორები: ა. ნათიშვილი, ვ. ჟღენტი, შ. მიქელაძე. 1934მდე გამოვიდა „თ. მის” 66 ნომერი, შემდეგ კი ფუნქციონირება შეწყვიტა. 2007 ფარმაცევტული კომპანია „ჯიპისის” ხელშეწყობით განახლდა ახ. ქართ. სამედ.პრაქტ. ჟურნ. „თანამედროვე მედიცინის” გამოცემა (მთ. რედაქტორი დ. ჯიქია). 2010 შეწყდა ჟურნალის ბეჭდური ვერსიის გამოცემა. 2010 წლის 23 თებერვალს დაარსდა ჟურნალის საიტი (www. modernpublishing.ge), სადაც განთავსდა ჟურნალის ყველა ნომრის ელექტრონული ვერსია (სულ 16 ნომერი).